საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი **08 ოქტომბერი, 2012 წელი**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 13

,,2012-2013 სასწავლო წლისათვის ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 მაისის № 124 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მ/შ მ. ჯორბენაძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,2012-2013 სასწავლო წლისათვის ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 მაისის № 124 დადგენილებაში და პირველი მუხლს დაემატოს გ) ქვეპუნქტი:

,,გ) დარგის სპეციალისტის სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 340 საათით."

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავჯდომარე **ე. მესხია**